არასათანადო მოპყრობის დასჯადობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

პროფესორი, სამართლის დოქ. ***ირაკლი დვალიძე***, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბერნდ ჰაინრიხის 60 წლის იუბილესთვის

I. შესავალი

საერთაშორისოსამართლებრივ აქტებში წამებასთან ერთად გამოყენებულია ტერმინები: ცუდი მოპყრობა, დამამცირებელი მოპყრობა, არასათანადო მოპყრობა. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დამოუკიდებელი დანაშაულების სახით არის მოცემული წამება (სსკ-ის 144[1] მუხლი), წამების მუქარა (სსკ-ის 144[2] მუხლი) და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა (სსკ-ის 144[3] მუხლი).

ქმედების სწორი სამართლებრივი შეფასებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია დანაშაულის შემადგენლობაში მოცემული ნიშნის სწორი სუბსუმირება. ვინაიდან არასათანადო მოპყრობა შეიძლება წამებაშიც, წამების მუქარაშიც და დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობაშიც გამოიხატოს, ამიტომ საკმაოდ მნიშვნელოვანია ზუსტი ნიშნულების გამოძებნა, რათა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-3 მუხლში მოაზრებული ქმედებები. ამ მხრივ, ყურადსაღებია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებები. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ 46-ე მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა პროცესის მონაწილე სახელმწიფოსთვის.[1] „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გამოყენებული უნდა იქნეს არა როგორც სამართლის წყარო, არამედ როგორც ევროპული კონვენციის დებულებათა ავტორიტეტული განმარტება.“[2] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიცია არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით კარგად ჩანს შემდეგ სიტყვებში: „სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ არაადამიანურმა მოპყრობამ უნდა მიაღწიოს გარკვეულ ზღვარს იმისთვის, რომ მოხვდეს მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში, ამ მინიმუმის შეფასება, მოვლენათა შეფასება, მოვლენათა ხასიათიდან გამომდინარე, შეფარდებითია, იგი დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორიცაა მოპყრობის ხასიათი და კონტექსტი, მისი აღსრულების მანერა და მეთოდი, ხანგრძლივობა, ფიზიკური თუ სულიერი ზეგავლენა და ზოგიერთ შემთხვევაში სქესი, ასაკი და მსხვერპლის ჯანმრთელობის მდგომარეობა“ (იხ. ზემოხსენებული Soering-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A, N161, გვ. 39, პუნქტი 100 და მასში წარმოდგენილი მაგალითები).[3]

II. არასათანადო მოპყრობა, როგორც აბსოლუტური ხასიათის აკრძალვა

სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანი არის უმაღლესი ღირებულება, რომელიც არ არსებობს ღირსების გარეშე. ღირსების ხელშეუვალობიდან გა-

[1] იხ. *კორკელია, კონსტანტინე,* წიგნში: *კორკელია, კონსტანტინე/ქურდაძე, ირინე,* ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, 2004, გვ. 44.

[2] იხ. *კორკელია, კონსტანტინე,* წიგნში: *კორკელია, კონსტანტინე/ქურდაძე, ირინე,* ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, 2004, გვ. 45.

[3] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 20 თებერვლის განაჩენი „კრუზ ვარასი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ“ (Cruz Varas and others v. Sweden), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული, წიგნი I, 2004, გვ. 212.

მომდინარეობს ის, რომ არასათანადო მოპყრობის აბსოლუტური ხასიათის აკრძალვა საქართველოში კონსტიტუციური რანგისაა. საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, „ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო." „განსხვავებით კონსტიტუციის სხვა ნორმებისაგან, რომლებიც უშვებენ უფლებაში ჩარევის შესაძლებლობას, დასახელებული მუხლი გამორიცხავს ყოველგვარ გამონაკლისს ამ მხრივ, რითაც ის განამტკიცებს დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებებს."[4] საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური და დამამცირებელი სასჯელის გამოყენება."

დღევანდელი მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში არასათანადო მოპყრობას (იგულისხმება წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) Jus Cogens სტატუსი გააჩნია ანუ არასათანადო მოპყრობა აბსოლუტური ხასიათის აკრძალვაა.[5] საქართველოს მიერ რატიფიცირებულია ყველა ის საერთაშორისო აქტი, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი არასათანადო მოპყრობის აკრძალვის წინააღმდეგ მიმართული სპეციალური საერთაშორისოსამართლებრივი აქტია, ხოლო ნაწილი ადამიანის სხვა ფუნდამენტური უფლებების დაცვასთან ერთად ითვალისწინებს არასათანადო მოპყრობის აკრძალვას.[6]

1975 წლის 9 დეკემბრის გაეროს „წამებისაგან და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯისაგან პირის დაცვის" დეკლარაციაში პირველად განისაზღვრა საერთაშორისო დონეზე წამება. აღნიშნული დეკლარაციის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „წამება მოიცავს წინასწარ განზრახულ განსაკუთრებით მძიმე ფორმის სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს." აქ საყურადღებოა ის, რომ წამების იმანენტურ ნიშნად დასახელებულია „განსაკუთრებით მძიმე ფორმა" (aggravated form). ყოველი წამება არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობაა და არა პირიქით. მოსამართლე ზუპაჩიჩის სიტყვებით, რომ ვთქვათ: „წამება არის არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის გამწვავებული ფორმა."[7]

გაეროს 1984 წლის 10 დეკემბრის „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის"[8] მე-16 მუხლი მიუთითებს, რომ წამების თავიდან აცილებისთვის დადგენილი სახელმწიფოს პოზიტიურ-სამართლებრივი ვალდებულება თანაბრად ვრცელდება არასათანადო მოპყრობის ნებისმიერი სხვა ფორმების მიმართაც.

„აბსოლუტური ხასიათის აკრძალვა ექსტერიტორიულ ხასიათს ატარებს და მონაწილე სახელმწიფოების ტერიტორიების ფარგლებს გარეთაც მოქმედებს."[9] იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პრიორიტეტულია შეთანხმება ექსტრადიციის შესახებ ანდა აუცილებელია ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება და ამ ქმედების ჩამდენმა ქვეყანა იმიტომ დატოვა, რომ თავი აარიდოს მართლმსაჯულებას, ანდა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად, სახელმწიფო ახორციელებს გაძევებას, მას მაინც ეკისრება პასუხისმგებლობა არ გააძევოს ის პირი იმ სახელმწიფოში, სადაც სასტიკი მოპყრობა ემუქრება.[10]

[4] *ტუღუში, თეიმურაზ/ბურჯანაძე, გიორგი/მშვენიერაძე, გიორგი/გოცირიძე, გიორგი/მენაბდე, ვახუშტი,* ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა, 2013, გვ. 85.

[5] გაეროს 1984 წლის 10 დეკემბრის „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის" მე-2 მუხლი პირდაპირ მიუთითებს წამების რომელიმე საფუძვლით გამართლების აკრძალვაზე.

[6] დაწვრილებით იხ. *დვალიძე, ირაკლი,* კომენტარში: *დვალიძე, ირაკლი/ხარანაული, ლევან/თუმანიშვილი, გიორგი/წიქარიშვილი, კახა,* ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, 2019, გვ. 147-151.

[7] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 10 მაისის განაჩენი „ჯალო გერმანიის წინააღმდეგ" (Jalloh v. Germany). სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლზე, წიგნი III, 2013, გვ. 119.

[8] ინგლისური ვერსია: https://www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/cat.pdf (ბოლოს ნანახია: 9.01.2023).

[9] *Разумов, Станислав/Берестнев, Юрий*, Европейская конвенция о зашите прав человека и основных свобод, Статия 3, Запрещение пыток, Прецеденты и комментарии, 2002, გვ. 25, http://www.echr.ru/documents/manuals/Article03/Article3.pdf (ბოლოს ნანახია: 9.01.2023).

[10] *Разумов, Станислав/Берестнев, Юрий*, Европейская конвенция о зашите прав человека и основных свобод,

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არის გამოთქმული მოსაზრება, რომ წამების (აქ იგულისხმება არასათანადო მოპყრობის ყველა ფორმა) აკრძალვა ზოგჯერ ატარებს ფორმალურ ხასიათს და განპირობებულია პრევენციული მიზნით.[11] „წამების აბსოლუტურმა აკრძალვამ, გამონაკლისის სახით შეიძლება გაითვალისწინოს წამების მუქარის დაშვების მხოლოდ შესაძლებლობა ბრალის გამომრიცხველი ტრაგიკული კოლიზიის დროს *ვ. ბრუგერის* მიერ განვითარებული რვა პირობის მოთხოვნათა დაცვით.“[12] წამებისა და წამების მუქარის გამართლების ან პატიების საკითხის დასაბუთებისას ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ადამიანის სიცოცხლე აბსოლუტური ხასიათის უფლებაა, იგი პატივსა და ღირსებაზე ღირებული სამართლებრივი სიკეთეა და ზოგჯერ შესაძლებელია წამების განხორციელება მის გადასარჩენად (მაგალითად, ოპერაციის გაკეთება გაუტკივარების გარეშე).[13] იქვე დაკონკრეტებულია, რომ მხოლოდ ისეთი წამება და წამების მუქარაა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი (აუცილებელი მოგერიება), რომელიც დროში გაწელილი არ არის, იმწუთიერი ქმედებით ხორციელდება და საფრთხის დაუყოვნებელი განეიტრალება ხდება.[14]

მართებულად მიუთითებს მერაბ ტურავა, რომ ცნობილ ავტორთა მცდელობა, რომელიც გამონაკლისის სახით წამების ან წამების მუქარის გამართლებისკენ არის მიმართული, წამების აბსოლუტური აკრძალვის რელატივიზაციას და სამართლიანობის მასშტაბების ტელეოლოგიურად განსაზღვრას წარმოადგენს.[15] თუნდაც ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, ექსტრემალურ ვითარებაში ჩადენილი წამება ან წამების მუქარა, ვერ გამორიცხავს ქმედების მართლწინააღმდეგობას, თუმცა შეიძლება, იყოს ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოება.[16]

„წამებისა და წამების მუქარის აკრძალვის აბსოლუტურობიდან არავითარი გამონაკლისი არ უნდა იქნეს დაშვებული და იგი, როგორც ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობის გარანტია, არავითარ რელატივიზაციას არ უნდა დაექვემდებაროს.“[17] მერაბ ტურავა ავითარებს შეხედულებას, რომ ასეთი შეზღუდვა ეხებათ საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლებს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს და არ მოქმედებს კერძო ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც სიცოცხლის გადარჩენის დროს ადამიანის ღირსებას ხელყოფენ.[18] მათი მოქმედება ბრალის ეტაპზე შეიძლება გახდეს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება.[19]

Статия 3, Запрещение пыток, Прецеденты и комментарии, 2002, გვ. 25-26, http://www.echr.ru/documents/manuals/Article03/Article3.pdf (ბოლოს ნანახია: 9.01.2023).

[11] იხ. *წულაია, დავით,* წამების აკრძალვა საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების მიხედვით, სამართლის ჟურნალი, 2/2014, 250.

[12] იხ. *წულაია, დავით,* წამების აკრძალვა საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების მიხედვით, სამართლის ჟურნალი, 2/2014, 252.

[13] იხ. *თოდუა, ნონა,* მისატევებელი უკიდურესი აუცილებლობა ქართულ სისხლის სამართალში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, 2013, გვ. 144-145.

[14] იხ. *თოდუა, ნონა,* მისატევებელი უკიდურესი აუცილებლობა ქართულ სისხლის სამართალში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, 2013, გვ. 146-148.

[15] იხ. *ტურავა, მერაბ,* წამება და წამების მუქარა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად – სისხლისსამართლებრივად ნებადართული იძულების ღონისძიება? (ეროვნული და ევროპული მიდგომები მაგნუს გეფგენის საქმის მიხედვით), სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, 2011, გვ. 194-195.

[16] იხ. *ტურავა, მერაბ,* წამება და წამების მუქარა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად – სისხლისსამართლებრივად ნებადართული იძულების ღონისძიება? (ეროვნული და ევროპული მიდგომები მაგნუს გეფგენის საქმის მიხედვით), სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, 2011, გვ. 199-200.

[17] იხ. *ტურავა, მერაბ,* წამება და წამების მუქარა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად – სისხლისსამართლებრივად ნებადართული იძულების ღონისძიება? (ეროვნული და ევროპული მიდგომები მაგნუს გეფგენის საქმის მიხედვით), სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, 2011, გვ. 221.

[18] იხ. *ტურავა, მერაბ,* წამება და წამების მუქარა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად – სისხლისსამართლებრივად ნებადართული იძულების ღონისძიება? (ეროვნული და ევროპული მიდგომები მაგნუს გეფგენის საქმის მიხედვით), სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, 2011, გვ. 221.

[19] იხ. *ტურავა, მერაბ,* წამება და წამების მუქარა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად – სისხლისსამართლებრივად ნებადართული იძულების ღონისძიება? (ეროვ-

III. არასათანადო მოპყრობის აბსოლუტური აკრძალვა და საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა

წინამორბედი სისხლის სამართლის კოდექსის (იგულისხმება 1960 წლის 30 დეკემბერს მიღებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი) 116-ე მუხლში ასახული იყო წამება, როგორც სისტემატური ცემის ან სხვაგვარი ძალადობის გამძაფრებული ფორმა. ამის მიუხედავად, აღნიშნული ნორმა ვერ პასუხობდა წამების დასჯადობის პრობლემატიკას. მაგალითად, საერთოდ განუსაზღვრელი იყო წამების ნიშნები, სანქცია არ აღემატებოდა სამი წლით თავისუფლების აღკვეთას და ა.შ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ წამების მძიმე შემთხვევები დაუსჯელი რჩებოდა. წამების დამაფუძნებელი ქმედება ცალკეული ზოგადი სისხლისსამართლებრივი ნორმებით ისჯებოდა (მაგალითად, ჯანმრთელობის დაზიანება (ხარისხების მიხედვით), ცემა, ძალადობა, მუქარა და ა.შ.). 2000 წლის 1 ივნისიდან ამოქმედდა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, სადაც უკვე წამების დასჯადობა მოცემული იყო სსკ-ის 126-ე მუხლით (წამება), რომელიც ასევე ვერ პასუხობდა არასათანადო მოპყრობის აკრძალვის საერთაშორისო სტანდარტებს როგორც ქმედების შემადგენლობის დამაფუძნებელი ნიშნების, ისე სანქციების კუთხით.

2005 წლის 23 ივნისის კანონით სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 144^1-ე (წამება), 144^2 (წამების მუქარა) და 144^3 (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლები. აღნიშნულ მუხლებში დეტალურად განისაზღვრა არასათანადო მოპყრობის ცალკეული გამოვლინების ფორმების, კერძოდ, წამების, წამების მუქარისა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები და შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებანი. ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებები და დამატებები სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო მოპყრობის აკრძალვის პოზიტიურ-სამართლებრივი ვალდებულების ეროვნულ დონეზე განხორციელების გამოხატულებაა.[20]

2016 წლის 1 დეკემბერს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლს დაემატა მე-5^1 ნაწილი, რომლითაც აიკრძალა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სსკ-ის 144^1—144^3 მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ არასათანადო მოპყრობის ელემენტების მატარებელი ქმედებები პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ნიშნების შემცველია, სპეციალური ნორმების შექმნას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის პოლიტიკის კუთხით. კერძოდ, 1) სპეციალური ნორმა ნორმის აბსტრაქტულობის ხარისხს ამცირებს, რადგან სპეციალური ნორმის შექმნისას კანონმდებელი დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ნიშანს ან ნიშნებს აკონკრეტებს. შესაბამისად, ნორმის ინტერპრეტაცია გაადვილებულია და დანაშაულის მსგავს შემადგენლობათა შორის მიჯნის გავლებაც უფრო მოხერხებულია; 2) არასათანადო მოპყრობის გამოვლინების ცალკეული ფორმებისთვის სპეციალური ნორმების შემოღებით საკანონმდებლო დონეზე დიფერენცირებულია პასუხისმგებლობა; 3) საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხითაც გამართლებულია წამების, წამების მუქარისა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობისთვის სპეციალური მუხლების მიძღვნა, რადგან დამნაშავის გადაცემის ან ექსტრადირებისას უფრო მოხერხებულია შესაბამისი ნორმის მოძიება, როდესაც სახელმწიფოებს კონვენციების შესაბამისი ნორმები გააჩნიათ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში; 4) ძალადობითი დანაშაულებიდან არასათანადო მოპყრობის ცალკეული შემთხვევებისთვის დამოუკიდებელი სტატისტიკის წარმოება, უფრო ეფექტურს ხდის წამების, წამების მუქარის, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის პრევენციისთვის შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად.

ნული და ევროპული მიდგომები მაგნუს გეფგენის საქმის მიხედვით), სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, 2011, გვ. 221.

[20] ამგვარი ვალდებულება გამომდინარეობს, მაგალითად, გაეროს 1984 წლის 10 დეკემბრის „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის“ მე-2 და მე-4 მუხლებიდან.

IV. წამება (სსკ-ის 144[1] მუხლი)

1975 წლის 9 დეკემბრის გაეროს „წამებისაგან და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან და დასჯისაგან პირის დაცვის“ დეკლარაციაში პირველად განისაზღვრა საერთაშორისო დონეზე წამება. აღნიშნული დეკლარაციის 1-ელი მუხლის მიხედვით, წამების ამსრულებელი არის მოხელე, რადგან განსაზღვრებაში მითითებულია წამების უშუალოდ მის მიერ ან მისი წაქეზებით ჩადენაზე.[21] ანალოგიურ მითითებას ვხვდებით 1984 წლის 10 დეკემბრის გაეროს „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ“ კონვენციის 1-ელ მუხლში. ვინაიდან სსკ-ის 144[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში დამამძიმებელ გარემოებად მოცემულია წამება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, კეთდება ლოგიკური დასკვნა, რომ ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობით წამებისას ამსრულებელთა წრე არაა შეზღუდული და ამსრულებლად გვევლინება ნებისმიერი ფიზიკური პირი.[22] არ არის გასაზიარებელი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, არ უნდა ჩაითვალოს დადებით ფაქტად ის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით წამების ამსრულებელი მოხელის გარდა შეიძლება იყოს, კერძო პირიც.[23]

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით წამების განხორციელება შეიძლება ორი ალტერნატიული ქმედების განხორციელებით: პირისათვის ან მესამე პირისათვის პირობების შექმნა ან მოპყრობა, თუმცა პირობების შექმნა ან მოპყრობა წამების დამაფუძნებელ ქმედებებად ვერ მოგვევლინება, თუკი მათ არ ახასიათებთ ისეთი იმანენტური ერთ-ერთი ალტერნატიული ნიშანი როგორიცაა: ხასიათი, ინტენსივობა ან ხანგრძლივობა. წამება მატერიალური დანაშაულია. კანონმდებელი აქ შედეგის გამოსახატად შემდეგნაირად მიუთითებს: „...იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილის ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას...“.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს „მორალურ ტანჯვასთან“ დაკავშირებით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტთან მნიშვნელოვანი ტექნიკური შეუსაბამობა შეინიშნება. სამწუხაროდ, განსახილველ მუხლში გაპარულია მნიშვნელოვანი შეცდომა. კერძოდ, „მორალური (ზნეობრივი) ტანჯვა“ მითითებულია გაეროს 1984 წლის 10 დეკემბრის „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის“ ქართულ თარგმანში, თუმცა არც აღნიშნული კონვენციის და არც გაეროს 1975 წლის 9 დეკემბერს მიღებული „წამებისაგან და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი და დასჯისაგან პირის დაცვის დეკლარაციის“ ინგლისური ვერსია არ იყენებს ტერმინს მორალური (ზნეობრივი). შესაბამისად, დიდი ალბათობით, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სწორედ ქართულ ვერსიაზე დაყრდნობით შეიქმნა სსკ-ის 144[1] და 144[3] მუხლებიც. ეს ხარვეზი სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.“[24]

წამება მიზნით დეტერმინირებული დანაშაულია. კვალიფიკაციისთვის გადამწყვეტია მიზნის დადგენა. წამება შეიძლება განხორციელდეს ერთ-

[21] ინგლისური ვერსია იხ.: Declaration on the Protection of All Persons from Being Subjected to Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment. Adopted by General Assembly resolution 3452 (XXX) of 9 December 1975, (https://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/DeclarationTorture.aspx – ბოლოს ნანახია: 9.01.2023).

[22] სსკ-ის 144[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში დამამძიმებელ გარემოებად მოცემულია წამება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დამძიმებას, თუკი წამება ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ნორმის სიტყვა-სიტყვითი ინტერპრეტაციიდანაც ადვილად დგინდება, რომ აღნიშნული მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი მოიცავს „ა“ ქვეპუნქტს. ამას ისიც ემატება, რომ სასჯელიც ორივე დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობისთვის თანაბარია, რაც აბსურდულს ხდის აღნიშნულ „ა“ ქვეპუნქტში მოცემული კვალიფიციური შემადგენლობის არსებობას. მაშასადამე, აღნიშნული „ა“ ქვეპუნქტი ამოსაღებია სისხლის სამართლის კოდექსიდან.

[23] იხ. *კვაჭაძე, მარინე/მამალაძე, ეკა/დათეშიძე, ნიკო,* წამების აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში), საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2019, გვ. 56 (https://rm.coe.int/turtore-geo/1680993fe0 – ბოლოს ნანახია: 9.01.2023).

[24] *დვალიძე, ირაკლი,* კომენტარში: *დვალიძე, ირაკლი/ხარანაული, ლევან/თუმანიშვილი, გიორგი/წიქარიშვილი, კახა,* ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, 2019, გვ. 165.

ერთი შემდეგი ალტერნატიული მიზნით: 1) ინფორმაციის მიღება; 2) მტკიცებულების მიღება; 3) აღიარების მიღება; 4) დაშინება; 5) იძულება; 6) პირის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისთვის პირის დასჯა.

V. წამების მუქარა (სსკ-ის 144[2] მუხლი)

მოცემული დანაშაულის ამსრულებელი არის ფიზიკური პირი. წამების მუქარა ყოველთვის აქტიური მოქმედებით ხორციელდება. სსკ-ის 144[2] მუხლის მიხედვით, წამების მუქარა არის სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლში აღნიშნული პირობების შექმნის, მოპყრობის ან დასჯის მუქარა, განხორციელებული იმავე მიზნით, თუ ეს მუქარა არის რეალური და იმწუთიერი. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 30 ნოემბერს სსკ-ის 144[2] მუხლს დაემატა და ამავე წლის 28 დეკემბრიდან ამოქმედდა მეორე ნაწილი, სადაც დანაშაულის კვალიფიციურ შემადგენლობად ჩაიწერა „არაერთგზისობა." წამების მუქარა შედეგგარეშე შემადგენლობის მქონე დანაშაულია, ვინაიდან მუქარის გამოხატვისთანავე იგი დასრულებულია. კანონმდებელი აკონკრეტებს მუქარის ხერხს, რომელიც შეიძლება იყოს სსკ-ის 144[1] მუხლში (წამება) აღნიშნული პირობების შექმნის, მოპყრობის ან დასჯის მუქარა. წამების მუქარა შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი განზრახვით. კვალიფიკაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიზნის დადგენას. წამების მუქარის მიზანი ემთხვევა სსკ-ის 144[1] მუხლში მოცემულ დანაშაულის მიზანს, რადგან განსახილველი მუხლი პირდაპირ მითითებას აკეთებს სსკ-ის 144[1] მუხლის მიზნებზე.

VI. დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა (სსკ-ის 144[3] მუხლი)

არასათანადო მოპყრობა შეიძლება დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობაშიც გამოვლინდეს. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა ცალკე მუხლად არის მოცემული (სსკ-ის 144[3] მუხლი). აღნიშნული მუხლი ორი ნაწილისგან შედგება: ქმედების ძირითადი შემადგენლობა და ქმედების კვალიფიციური შემადგენლობანი. დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა განზრახი დელიქტია და სუბიექტური შემადგენლობის დასადგენად სხვა სუბიექტური ელემენტების დადგენა (მაგალითად, მიზანი) სავალდებულო არ არის. ამ კუთხით სსკ-ის 144[3] მუხლი არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებას.[25]

მართებულია მოსაზრება, რომ სსკ-ის 144[3] მუხლში (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მოცემულ დისპოზიციაში ერთმანეთისგან ცალსახად არ არის გამიჯნული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული არასათანადო მოპყრობის აღნიშნული ორი სახე, მით უფრო, რომ დანაშაულის დასათაურება ალტერნატიული ხასიათისაა და ამას ისიც ემატება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არასათანადო მოპყრობის ამ ორ ნაირსახეობას ერთ-ერთ ცნობილ საქმეზე ფრეთი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ყველაზე მკაფიოდ განმარტავს.[26]

აღნიშნული დანაშაულის ამსრულებელი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი. სსკ-ის 144[3] მუხლის მიხედვით დანაშაულებრივი ქმედება ოთხი ალტერნატიული ქმედებით შეიძლება განხორციელდეს: დამცირება, იძულება, არაადამიანურ მდგომარეობაში ჩაყენება, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება.

განსახილველი დანაშაული შედეგიანია, რადგან დანაშაულებრივ ქმედებებმა უნდა გამოიწვიოს მსხვერპლის ძლიერი ფიზიკური, ფსიქიკური ტკივილი ან მორალური ტანჯვა. გასათვალისწინებელია, რომ ქმედების შემადგენლობის ნიშანი „ძლიერი" შეფასებითია და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისას ფიზიკური, ფსიქიკური და მორალური ტანჯვა არ უნდა გაუთანაბრდეს წამე-

[25] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 20 ივნისის განაჩენი „ბოიცენკო მოლდოვას წინააღმდეგ" (Boicenco v. Moldova), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული, წიგნი V, 2008, გვ. 137; წამების აკრძალვა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი, 2005, გვ. 65.

[26] იხ. *კვაჭაძე, მარინე/მამალაძე, ეკა/დათეშიძე, ნიკო,* წამების აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, საქართველოს უზენაესი სასამართლო ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2019, გვ. 56-57 (https://rm.coe.int/turtore-geo/1680993fe0 – ბოლოს ნანახია: 9.01.2023).

ბაში (სსკ-ის 144[1] მუხლი) შედეგის განმსაზღვრელი „ძლიერის“ ხარისხობრივ მაჩვენებელს.

VII. დასკვნა

ამრიგად, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ჰარმონიზებულია არასათანადო მოპყრობის აკრძალვის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისოსამართლებრივ ნორმებთან. სისხლის სამართლის კოდექსში არასათანადო მოპყრობის გამოვლინების ცალკეული ფორმებისთვის სპეციალური დანაშაულის შემადგენლობების შექმნას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და საერთაშორისო ვალდებულების შესრულების (მაგალითად, ექსტრადირებისას და სხვ.), ისე კრიმინოლოგიური კუთხით (დეტალური სტატისტიკის წარმოება, წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების პრევენცია და ა.შ.).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან ნათლად ჩანს, რომ ქმედების წამებად ან არასათანადო მოპყრობის ნიშნების შემცველ სხვა დანაშაულად კვალიფიკაციის მყარი კრიტერიუმები არ არსებობს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულია საორიენტაციო კრიტერიუმები, რომლებიც კუმულაციურად უნდა იქნეს განხილული.[27] აღნიშნულ კრიტერიუმებს შორის უმნიშვნელოვანესია სიტყვა „კონტექსტის“ გააზრება, რომელსაც კონკრეტული სოციუმის კულტურისა და ცივილიზებული სამყაროს ჯანსაღი ცხოვრების წესები უნდა დაედოს საფუძვლად.[28]

დაბოლოს, წინამდებარე სტატიაში წარმოჩენილი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებში არსებული ხარვეზები შემდგომ საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვს.

[27] დაწვრილებით იხ. *დვალიძე, ირაკლი,* კომენტარში: *დვალიძე, ირაკლი/ხარანაული, ლევან/თუმანიშვილი, გიორგი/წიქარიშვილი, კახა,* ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, 2019, გვ. 151-154.

[28] იხ. *დვალიძე, ირაკლი,* კომენტარში: *დვალიძე, ირაკლი/ხარანაული, ლევან/თუმანიშვილი, გიორგი/წიქარიშვილი, კახა,* ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, 2019, გვ. 153-154.